

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia)  
სამეთვალყურეო საბჭოს ოქმი №52

ქ. თბილისი

2019 წლის 25 ივნისი

განსახილველი საკითხები:

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა განიხილეს შემდეგი საკითხები:

1. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს (MCA-Georgia) 2019 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტი (დანართი 1).
2. სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2019 წლის 1 აპრილი - 2019 წლის 29 ოქტომბერი, პერიოდის აუდიტის გეგმა (დანართი 2).
3. ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტის დასრულების გამო, სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოსა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მიერ 2018 წლის 20 დეკემბერს დამტკიცებული ფისკალური ანგარიშგების გეგმის (FAP) 11.3.3 მუხლით გათვალისწინებული პირობების წარმატებით შესრულებისათვის ერთი თვის ხელფასის ოდენობით დანამატის გაცემა და სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) თანამშრომლებზე და მათ შორის აღმასრულებელ დირექტორზე.

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრებმა მიიღეს შემდეგი გადაწყვეტილებები:

1. დამტკიცებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2019 წლის მესამე კვარტლის ბიუჯეტი (დანართი 1).
2. დამტკიცებულ იქნას სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) 2019 წლის 1 აპრილი - 2019 წლის 29 ოქტომბერი, პერიოდის აუდიტის გეგმა (დანართი 2).
3. ა) სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოსა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მიერ 2018 წლის 20 დეკემბერს დამტკიცებული ფისკალური ანგარიშგების გეგმის (FAP) 11.3.3 მუხლით გათვალისწინებული პირობების წარმატებით შესრულებისათვის და ათასწლეულის გამოწვევის მეორე კომპაქტში მიღწეული შედეგებისთვის გამო, დადებითი შეფასება მიეცეს სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) აღმასრულებელი დირექტორის მაგდა მალრაძეს მიერ

გაბორციელებულ საქმიანობისთვის და მასზე გაიცეს დანამატი ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

ბ) სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოსა და ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მიერ 2018 წლის 20 დეკემბერს დამტკიცებული ფისკალური ანგარიშგების გეგმის (FAP) 11.3.3 მუხლით გათვალისწინებული პირობების წარმატებით შესრულებისათვის, უშუალო ხელმძღვანელის დადებითი შეფასების საფუძველზე, სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) თანამშრომლებზე გაიცეს დანამატი ერთი თვის ხელფასის ოდენობით.

სსიპ ათასწლეულის გამოწვევის ფონდი - საქართველოს (MCA-Georgia) სამეთვალყურეო საბჭოს წევრები გადაწყვეტილებებს ადასტურებენ ხელმოწერით:

**მამუკა ბახტაძე**

საქართველოს პრემიერ-მინისტრი  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

**მიხეილ ბატიაშვილი**

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა  
და სპორტის მინისტრი  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე




**ივანე მაჭავარიანი**

საქართველოს ფინანსთა მინისტრი




**თეა წულუკიანი**

საქართველოს იუსტიციის მინისტრი



დავით ზალკალიანი  
საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი



ნინო ჩინჩალაძე  
საერთაშორისო განათლების ცენტრის  
დირექტორი

